საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

<u>თამარ ღვამიჩავა</u>

ბიულეტენი

კენჭისყრა - 23.07.2021
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად წარდგენილ იქნეს გენადი მაკარიძე?
(დიახ) არა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის გენადი მაკარიძის შეფასება.

2021 წლის 29 ივნისს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 2 ნოემბრის №1/138 განკარგულების საფუძველზე, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა მეორე შესარჩევი კონკურსი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

კანდიდატ გენადი მაკარიძის საჯარო მოსმენის შედეგად არ გამოვლენილა რაიმე გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ სინდისს. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატი არის მიზანდასახული, შრომისმოყვარე პიროვნება. აქვს პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, არის კორექტული, თავდაჭერილი, სასამართლო სხდომას უძღვება სათანადოდ. კანდიდატს აქვს მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა, იმიჯი, არის პრინციპული, მედეგი, გააჩნია ემოციების მართვის უნარი, იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს. აქვს თვითგანვითარების უნარი, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ გენადი მაკარიძის კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ჯამური შეფასება შეადგენს 90 ქულას.

მხარს ვუჭერ გენადი მაკარიძის წარდგენას საქართველოს პარლამენტისათვის.

თამარ ღვამიჩავა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

თარიღი: 23.07.2021 წ.